ტესტი 2

გამორჩეული სკოლა...

მეორე დღეს, დილით, ახალგაზრდა ჯადოქრები გამოცხადდნენ კლასში, სადაც ჯადოსნური პორციის გამოცდა უნდა ჩატარებულიყო. როგორც ყოველთვის, მსგავს შემთხვევაში, ერთგვარი აღელვება სუფევდა ჯადოქრებში. ჩემი მეზობელი, რომელიც ყველაზე უფროსი გახლდათ ჯადოქრებს შორის, ერთადერთი იყო, რომელსაც არაფერი ესწავლა, მაგრამ მან ყოველთვის ყველაფერი იცოდა და ასეთი სახის გამოცდებს მიიჩნევდა, როგორც ერთგვარ ფორმალებას. მან ასწია ხელი :

- ბოდიშით, ქალბატონო, გვაქვს თუ არა უფლება, გამოვიყენოთ ლექციის ჩანაწერები?
- აბა, გოგონებო, თქვენს ადგილებზე ! ვიჩქაროთ ! ბრძანა მასწავლებელმა. თითოეული თითო ქვაბთან დაჯდეს და ადგილი არ ჰქონდეს გადალაპარაკებას. აი გამოცდის საკითხი ; თქვენ უნდა მოამზადოთ სიცილის მომგვრელი პორცია სახელმძღვანელო-ების გამოყენების გარეშე. თქვენ, ბოლოში, გთხოვთ სასწრაფოდ დახუროთ წიგნები, შეუდექით მუშაობას და როდესაც დაამთავრებთ, გასინჯავთ ცოტაოდენს თქვენს მიერ მომზადებული პორციიდან, რათა შევამოწმოთ მისი ეფექტურობა. აბა, დაიწყეთ !

ჟილ მურფის მიხედვით, ამანდინ მალაბული, მოუხერხებელი ჯადოქარი.

უპასუხე შეკითხვებს და შემოხაზე სწორი პასუხი.

1. ვინ არის ტექსტის ავტორი ?

ამანდინ მალაბული. ჟილ მურფი. მასწავლებელი.

2. რატომ არ ჰგავს ეს გაკვეთილი სხვა გაკვეთილებს ?

- მასწავლებელი საკმაოდ მკაცრია.
- მოსწავლეები ძალზედ ახალგაზრდები არიან.
- მოსწავლეები ჯადოქრები არიან

3. აქვთ თუ არა მოსწავლეებს უფლება, ერთმანეთს დაეხმარონ ?

დიახ. არა. მცირეოდენ.

4. როგორ ამოწმებს მასწავლებელი გამოცდის წარმატებით ჩაბარებას ?

- მოსწავლე სიცილს იწყებს.
- მოსწავლე სიჩუმეს ინარჩუნებს.
- მოსწავლე იწყებს ლაქლაქს.

…../2 + …../2 + …../2 + …../2 + = …../8